



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
№ 8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება №100/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის №06 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისი

16 ნოემბერი 2020 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1 სექტემბრის №69/2020 განკარგულების საფუძველზე. №08 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის №06 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ : №06.07.24; №06.07.26; №06.07.28; №06.07.36; №06.07.38; №06.08.01; №06.08.16; №06.08.22; №06.08.24; №06.08.40; №06.08.48; №06.08.53; №06.08.54 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის;

**მუხლი 2.** საბუთები მიიღება 2020 წლის 17 ნოემბერს, 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე: (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 140; ქ.თბილისი, ჯავახიშვილის №51). ელ. მისამართი 08\_didube@cec.gov.ge; 07\_chughureti@cec.gov.ge;

**მუხლი 3.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი



ლიკა ავალიშვილი

თამარ ჭკუასელი